სახალხო გაზეთი

№ 687 პარასკევი, 31 აგვისტო 1912 წ. № 687

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რამიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ალექსი და ჩიტი კოკაიას შვილის

გიორგის

სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება 3 ენკენისთვეს სოფ. **ნაჯახოუში,** წმ. გიორგის ეკლესიაში და სოფ. **ბანძაში** წმ. გიორგის ეკლესიაში. (3.1476.1)

1912 წელს 2 ენკენისთვეს მეშვიდე დღეს გარდაცვალებიდან დაბა ბორჯომში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი

ნესტორ ლაზარეს ძე კანდელაკის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარი შვილები **ელენე, ქეთო, კოწია, ლაზარე,** ცოლის და **მარიამ ხიმშიევისა** და სიძე **ვალ. ქავქთარაძე.** (1.641.1)

ავლაბრის სახალხო თეატრი (მურაშკოსეული)

კვირას, 2 სექტემბერს, 1912 წ. ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** და **ვ. შალიკაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ისმინე ისრაილ!

დრამა 3 მოქ., თარგ. ვ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. აფხაზიშვილი, გიგოშვილი; ბ.ბ. სულთანიშვილი, ჯიბლაძე, კორძაია, კილოსანიძე, კალუგაშვილი, თავდგირიძე და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი მუსიკა.

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** (3.1448.2) მორიგი გამგე **ზ. ფორაქიშვილი.**

ახალი კლუბი

(საზაფხულო თეატრი).

შაბათს, 1 ენკენისთვეს 1912 წ.

„კაბარე" ციგნების ხორო; ციგნების ცეკვა—შეასრულებს გ. ა. ოსიფოვი; კუპლეტისტი; ხორო „მხიარულ ქვრივის" ოპერეტა „საქანელა"; ლეკური, კინტოური; სცენები ქართულ ცხოვრებიდან; ქართველი მომღერალი „მეფანდურე ბოშათა კაპელლა" და სცენა „პარიზელი ქურდი"; სიმებიანი ორკესტრი და დუდუკი. დასაწყისი შუაღამის 12 საათზე. ბასი ოთხ ადგილიანი მაგიდა—2 მ., ერთი ალაგი—60 კ., სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს: კაცები—1 მ., მანდილოსნები—40 კ., სტუდენტები—25 კაპ. 1—1463—1

დღეს და ხვალ მუშტაიდში გაიმართება უფასო სეირნობა

კავკასიის ფერშალ ქალ-ვაჟთა საზოგადოების სასარგებლოდ.

საღამოს 8 საათზე აუშვებენ შარს, **ცეპელინის სისტემისას.** 9 საათზე აუშვებენ შუშხუნებს. ოთხჯერ უფასოდ უჩვენებენ სინემატოგრაფიულ სურათებს. ბაღი გაჩირაღდნებული იქნება. **დასაწყისი საღამოს 5 საათზე. შესვლა უფასოა.** (1.640.1)

მიიღება ხელის მოწერა

„მოლიპულ გზაზე" ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში" და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ „ქართლის" კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. „იმერეთის" ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасiи Хоштарiя. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—9)

შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა კ ვ ე თ ა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ბლელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

ა გ ე ნ ტ ი
მ. ა. გაჩონია

ღებულობს როგორც ტფილისის, ისე ტფილისს გარეთ გაზეთებისათვის ყოველ-ნაირ განცხადებებს.

ადრესი: 1. მიხეილის პრ., სასტუმრ. „ვეტცელი", ტელეფ. 3—80.
(10.1436.7) 2. ვაკე, საკუთ. სახ., ქართულ გიმნაზიის ახლო, 9—25.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი	50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი	85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე	30 „
ანბანი კუბიკებზე . . .	1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, ...	50 „
წყარო, იმსივე, ანბანი და პირველ საკითხავი . . .	25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით .	40 „
იგივე ნაწილი II, ყდით .	50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია	35 „
მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . .	35 „
მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ჭიჭ.	20 „
ფიზიკური გეოგრაფია . .	20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ.	50 „
ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ. სწავლება საღვთო სჯულზე, ყდ.	30 „
ახალი აღთქ. სამღ. ისტ., მისივე	40 „
ძველ. აღქმ. სამღ. ისტ. მისივე	50 „
ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი	5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი	2 მ. 40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი	2 მ. 30 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1141.111)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძიენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ჭიჭინაძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible] ქალთა ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშოსნოსართ. ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. [illegible]	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ბთინიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათ. ით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.105

მედიცინის დოქტორი

ი. ბ. ჩუდნოვსკი

სინჯავს შინაგან და ნერვებ აშლილ ავადმყოფებს ყოველდღე დილის 9 საათიდან 11 საათ. და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

კიროჩნი ქუჩა, სახ. № 18, ტელეფონი 1090. (6—1453—5)

ექიმი ს. ი. ბძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—35)

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—7 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.1)

ე. ალმაზოვის საქალებო პროფესიონალურ სასწავლებელში

მოწაფეების მიღება ყოველ დღე სწარმოებს. ასწავლიან: ჭრასა და კერვას ქალთა ტანისამოსისას, ყოველგვარ საკორსეტო საქმეს, თეთრეულისა თუ სხვა ტანისამოსის კერვას ბავშვთათვის და საუცხოო ხელსაქმეს (ქარგვასა ð სხვა). ყოველგვარ ზემოხსენებულ საქმის შეკვეთას კისრულობენ.

ნემენცკების ქუჩა № 3. (1.637.1)

საგურამოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1020 376)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაზაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბობოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606"

(წლ—1018—67).

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, (წ.—1022—76)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში. 3—9 საათამდე

ექიმი ქალი **დ. გ. საყვარელიძე.** იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.15)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.188)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფილ. პირდაპირ. (25—1178—901)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე (თ—10.49—131)

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **წირვა და პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად.** დიდის ილიას მოწამებრივ სიკვდილის შემდეგ ხუთის წლის თავის შესრულების გამო ოთხშაბათს, 29 აგვისტოს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულის პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სულის მოსახსენებლად. მწირველი იყო და პანაშვიდი გადაიხადა არქიმანდრიტმა პიროსმა ქალაქის ქართველ სამღვდელოების თანამწირველობით. წირვისა და პანაშვიდის დროს გალობდა გ. კაპანაძის გუნდი. დაესწრნენ: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წარმომადგენელნი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის ა. ბ. მდივანის მეთაურობით, დამსახურებულნი ქართველი მოღვაწენი, პრესის წარმომადგენელნი, ქართველი მსახიობნი და სხვანი. საერთოდ წირვასა და პანაშვიდს ხალხი ნაკლებად დაესწრო, რაიც აიხსნება იმით, რომ წ.-კ. გამგეობამ წირვისა და პანაშვიდის გადახდის დრო ძალიან გვიან გამოაცხადა. ამას გარდა ტფილისის გაზეთებში წირვისა და პანაშვიდის გადახდის დღე, აგრეთვე ადგილი არეულ-დარეულად იყო გამოცხადებული.

✦ **შუამთისა და თეთრი გიორგის მონასტრების წინამძღვრად** დაინიშნა ყოვლად სამღვდელო ანტონი ეპისკოპოსი გორისა. წინად ეს მონასტრები ალავერდის ეპისკოპოსს ებარა.

✦ **ექიმი-ქალი.** 1912 წელს 29 მკათათვეს გერმანიის ბერლინის უნივერსიტეტში საუკეთესო ხარისხით სამკურნალო ფაკულტეტი დაასრულა ქართველმა ქალმა, **ნინო ელიაძემ.**

✦ **სეირნობა.** დღესა და ხვალ მუშტაიდში გაიმართება სახალხო სეირნობა კავკასიის ფერშალთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ **ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის** სასარგებლოდ, 3, 4 და 5 ენკენისთვეს მუშტაიდის ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა.

✦ **კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტში.** კომიტეტი უკვე შეუდგა ექსპონატების დამზადებას სრულიად რუსეთის შინა მრეწველობის გამოფენისთვის.

— კომიტეტის მიერ დაწყებული სასტატისტიკო საეკონომიო გამოკვლევა კავკასიის შინამრეწველობისა უკვე დამთავრდა, გარდა ქუთაისის გუბერნიისა, სადაც მუშაობა ამ ჟამად სწრაფად სწარმოებს.

✦ **ტფილისში შეიპყრეს** რაჭის მაზრის სოფელ ბაჯის მცხოვრები ლუკა ივანეს ძე ნესტერაშვილი და ნახიჩევანის მაზრის მცხოვრები ასცვატურ აბგარას ძე კაპრიელოვი, რომელთაც ფულის გამომტყუებელთა ბრბოს შედგენა ბრალდებათ. მათვე ბრალდებათ ყარსში ვაჭარ სეილანოვის მოკვლა.

✦ 12 სექტემბერს ნაშუადღევს 1 ს. 50 წ. № 4 მატარებლით ქ. ქუთაისიდან კიევისკენ გაემგზავრება კიევის კომერციულ ინსტიტუტის სტუდენტთა ექსკურსია. ფასი კიევის კომ. ინსტიტუტის სათვისტომოს წევრებისათვის 6 მან. 50 კაპ. არა წევრისათვის 7 მან. ფული მიიღება 5 სექტემბრამდე, შემდეგი მისა-

მართით: ქ. ქუთაისი, ორპირის ქუჩა სტ. ვასილ ა. მამაგეიშვილი, ანუ ოლდენბურგის ქუჩა სოკრატ დ. მიქაძე.

✦ **თავის ჩამოხრჩობა.** მლეთის მისახვევში, ნაცვლიშვილის სახლში, იდგა ტფ. ოლქის სასამართლოს მდივანის თანაშემწე სოლომონ ბესარიონის ძე მდინარაძე, 48 წლისა, მეზობელმა მდგმურებმა შეამჩნიეს, რომ მისის სახლის კარები დაკეტილი იყო და თვითონ კი არსადა სჩანდა, თუმცა მდინარაძეს წინად ყოველდღე ჰხედავდნენ. 28 აგვისტოს შეამჩნიეს, რომ დაკეტილ ოთახიდან გახრწნილ გვამის სუნის მსგავსი რამ გამოდიოდა და პოლიციას აცნობეს, რომელმაც ოთახი გააღო. ოთახში შესულთ საზარელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ შუა ოთახში, ლამპის ჩამოსაკიდზე, ეკიდა უსულო და გახრწნილი გვამი მდინარაძისა. იქვე, სტოლზე, იდო ბარათი 24 აგვისტოს თარიღით. განსვენებული სთხოვს ყველას, მის სიკვდილში ბრალი არავის დასდონ. ჩემის ნებით გშორდებითო. განსვენებული გუშინ დაასაფლავეს კუკიის სასაფლაოზე.

✦ **პ. ი. ზოლოტარევი,** საზეითლო ნაწილის გამგე, ბაქოს გუბერნიაში გაემგზავრა.

✦ **დამპალ ციებასთან ბრძოლა.** კავკასიის ნამესტნიკმა დამპალ ციებასთან მებრძოლ კომიტეტის გამგეობის წევრებად დაამტკიცა შემდეგი პირნი: ნამესტნიკის საბჭოს წევრი ნ. ფ. დეუნკოვსკი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი, საოლქო-სასანიტარო ინსპექტორი ვ. ფ. შოლკოვსკი, სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის სამმართველოს წევრი მ. ნ. ვესელოვზოროვი, კავკასიის ოლქის სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორიის გამგე მ. ვ. ლუნკევიჩი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ექიმი ნ. ა. სახაროვი, დ. დ. იეროფეევი და ე. პ. დეუნკოვსკი.

✦ **სახალხო სახლი ხარფუხში.** ხარფუხის ქართულ დრამატიულს ჯგუფს აზრად აქვს, ხარფუხში სახალხო სახლი ააგოს. ჯგუფი აპირობს, ამ საქმისთვის დახმარება ქალაქის თვითმმართველობას სთხოვოს.

✦ კერძო, საზოგადო და მთავრობის დაწესებულებებში პირველ სექტემბრიდან მუშაობა დაიწყება დილის 9 საათზე და ნაშუადღევის 3 საათზე გათავდება.

✦ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა.** სარედაქციო კომისიის კრებაზე, რომელიც 25 აგვისტოს მოხდარა, საბოლოოდ გადაუწყვეტიათ გამოსაცემად განზრახული ტომი დაიბეჭდოს არაბულ შრიფტით, ახლად ჩამოსხმულით. არჩეულ იქმნა სამნაირი შრიფტი: ლექსებისთვის, მოთხრობისთვის დ ბიოგრაფია-კრიტიკულ წერილებისთვის; სხოლიები იმავე ხასიათის შრიფტით დაიბეჭდება, ხოლო უფრო წვრილით. ამავე კრებაზე გაუსინჯავთ სამოცზე მეტი სურათი, რომელიც ეხება ილიას ცხოვრებას, მის გარდაცვალება—დასაფლავებას, სურათები საგურამოსი, ტფილისისა, ყვარელისა. კომისიას ამოურჩევია სურათები კლიშეების დასაკვეთად და დაუვალებია ცნობილ პროფ. ჯავახიშვილისათვის წაიღოს ეს სურათები პეტერბურგში და შეუკვეთოს კლიშეები საუკეთესო ფირმას. წიგნის დაბეჭვდა მიენდობა ქართ. გამომც. ამხანაგობას.

✦ ტფილისში ჩამოვიდა **ვასილი ამაშუკელი,** რომელმაც აკაკის მოგზაურობა სინომატოგრაფიულ ლენტზე გადაიღო. ბ-ნი ამაშუკელი ეხლა უკვე საბოლოოდ ამზადებს და ამ ცოტა ხანში ქუთაისის „რადიუმის“ სინემოტოგრაფში აჩვენებენ. მერე ტფილისშიაც ჩამოიტანენ საჩვენებლად.

სასწავლებლებში.

✦ **ახალი სკოლები.** სახალხო სკოლების დირექტორმა ტფ. გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა სოფლელთა დადგენილება, რომლითაც ისინი გორის მაზრის სოფლებ ახტანასა და თორმანეულში პირველ-დაწყებით სკოლის დაარსებას თხოულობენ.

✦ **ბერძნული სკოლა.** მომავალ სექტემბრიდან ტფილისში ბერძნული პირველ-დაწყებითი სკოლა გაიხსნება, სადაც მასწავლებლად მიიწვევენ ისეთს ბერძენს, რომელსაც საპედაგოგიო განათლება ათინაში აქვს მიღებული.

ბათომი

✦ აქაური **სავაჟო გიმნაზიის დირექტორი,** ბ. გერცი, რომელიც აგერ მეთორმეტე წელიწადია ბათუმშია და საკმაო—სიყვარული—პატივისცემა დაიმსახურა, როგორც მშობლების ისე შეგირდებისა გადაიყვანეს ტფილისის მეექვსე გიმნაზიაში; მის ადგილას დანიშნეს ტფილისის პირველ გიმნაზიის დირექტორის მოადგილედ ნამყოფი გენკინი... აქაურ საზოგადოებას განუზრახავს დეპუტაცია მზრუნველს გაუგზავნოს, რათა ბ. გერცი კვლავ ბათუმში დასტოვონ...

✦ ხმა დადის რომ უსახსრობის გამო ბათუმის ქართული სკოლა, რომელსაც თითქმის 32 წლის ისტორია აქვს—პირველ სექტემბრიდან აღარ გაიხსნებაო... ამას წინედ პოლიციის მიერ დატყვევებული წიგნები „დედაკაცი და სოციალიზმი“ უკვე დაუბრუნეს გამომცემელს მ. კალანდაძეს, თუმცა ჯერ ნება არა აქვს ხელის მომწერთ დაურიგოს.

ქართველ ექიმთა შეკავშირების თაობაზე.

ქართველ ექიმთა შეკავშირების საკითხი არ ახალია, ძველია. პირველად არ აღძრულა ეს საკითხი, და ფრიად სასურველია, რომ ეხლა მაინც მოჰყვეს საჭირო შედეგი. არამც თუ კერძო მოლაპარაკების დროს ის ნაწილი ქართველ ექიმებისა, რომელნიც თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობის დროს ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, შეკავშირებაზე ზრუნავდა, არამედ ყოველ სამკურნალოს გარეშენიც, სადაც უმრავლესობას ქართველი ექიმები შეადგენდნენ, ტრიალებდა სურვილი შეკავშირებისა. მხოლოდ როცა სურვილი პრაქტიკულ განხორციელების გზას დაადგებოდა, ხორცს ვერ ისხამდა. მიზეზი? მიზეზი ბევრნაირია და მათი გამოკვლევა ყოველ-დღიურ პრესის ფურცლებზე შეუძლებელია, მხოლოდ განმეორებით ვისურვებ, რომ იგივე საკითხი, აღძრული ახალ-გაზდა ამხანაგების მიერ, არ დარჩენილიყოს თეორიის სფეროში, არამედ ხორცი შეესხას.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი.

ჯრუჭის მონასტერი.

ჯრუჭის მონასტერში დაინიშნა ახალი წინამძღვარი არქიმანდრიტი მამა გაბრიელი. მამა გაბრიელი აღზრდილია ძველ ათონში, სადაც ბერძნების სკოლაში უსწავლია. შემდეგ მოსკოვის სამისიონერო კურსები გაუვლია და ყოფილა რამდენიმე ხანს მისიონერად აჭარაში. ეხლა კი დანიშნეს წინამძღვრად ჯრუჭის მონასტერში. მოსვლისათანავე მამა გაბრიელი დიდის გულ-მოდგინებით შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. შაბათს, 11 აგვისტოს, მამა გაბრიელმა, ძმებითურთ, შეასრულა ღამის თევით ლოცვა. მეორე დღეს, კვირას, დიდი-ძალი ხალხი შეგროვდა ჯრუჭის მონასტერში, როგორც მახლობელ სოფლებიდან ისე შორეული. ამ დღეს დაბარებული ჰყავდა მამა გაბრიელს სკოლის თაობაზე მოსალაპარაკებლად, ჯრუჭის მონასტრის გარშემო მდებარე ოთხი სოფელი: მოხვა, უზუნთა, ცხომარათი, ქვემოხევი—ეკუთვნის ჩიხის საზოგადოებას და სკოლა აქვს დ. საჩხერეში. ამ სოფლებიდან თხუთმეტი ვერსია; ასე რომ არც ერთ ამ ზემო ჩამოთვლილ სოფლებს არ შეუძლიანთ ისარგებლონ იმ სკოლით, თუმცა გადასახადს უკლებლად იხდიან. მონასტერი კი სულ ვერს ნახევარზე მდებარეობს ამ სოფლებიდან. იმ დღეს მწირველი ბრძანდებოდა მამა გაბრიელი. წირვის შემდეგ მშვენიერი სიტყვით მიჰმართა ხალხს და აუხსნა სწავლის საჭიროება და ურჩია მონასტერში სკოლის გახსნა. შენობა სკოლისათვის თვით მამა გაბრიელმა დაუთმო მონასტერში და აღუთქვა ყოველივე საქმეზე შუამდგომლობა მთავრობის წინაშე. ხალხი კმაყოფილი დარჩა ამნაირი მამობრივი რჩევით და მადლიერნი დაიშალნენ. იმედია მამა გაბრიელი დააბოლოვებს ამ მეტად სიმპატიურ საქმეს და მით მისცემს საშუალებას მახლობელ სოფლელებს, რომ მიაწოდონ თავიანთ შვილებს პირველ-დაწყებითი სწავლა.

ფ. —ძე.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

შემდეგი.*)

წერილი მეთერთმეტე.

საზოგადოებამ „ვაშა“ დასძახა, მგოსანმა მადლობა უძღვნა; შეხვედრა გადაღებულ იქმნა და გავსწიეთ; ჩვენი ეტლები აღარ სჩანდა, რადგან გარშემო ცხენოსნები შემოგვერტყა; მივდიოდით დიდის ამბით; გვეგონებოდათ, რომ ომიდან დაბრუნებულ გამარჯვებულ მთავარ სარდალს მოუძღვებიან სამშობლოში აღტაცებითაო. ჩვენს წინ ოთხი მხედარი მიაჭენებდა ცხენებს, რათა მალე შესულიყვნენ ონში და ეცნობებინათ შეკრებილ საზოგადოებისთვის მგოსნის მიახლოვება, მალე ჩვენი ეტლებიც მიუახლოვდნენ ონს; ხიდს გაღმა დიდ-მინდორზე დავინახეთ აუარებელი ხალხი, რომელიც შემოსჩერებოდა ჩვენს ეტლებს. აი მივადექით ხიდს; სინემატოგრაფ - ფოტოგრაფი დაწინაურდნენ და ხიდის თავში მაღლობზე მომართეს აპარატები და გადაიღეს დიდის ამბით მომავალი კორტეჟი. გავედით ხიდზე და მივადექით სადღესასწაულოდ მორთულ ჭიშკრის კამარას, სადაც შეაჩერეს მგოსნის ეტლი. კამარაზე წავიკითხეთ შემდეგი: ნაძვის და სუროს ფოთლების ასოებით: „საკეთილდღეოდ თქვენი მობრძანება ჩვენში, სამშობლოს დამამშვენებელო მგოსანო“, იქვე ეკიდა მგოსნის სურათიც. კამარის ბოძებთან იდგნენ თეთრად ჩაცმული, თაიგულებით, სამი ქალიშვილი, რომლებიც გამოხატავდნენ სარწმუნოებას, სასოებასა და სიყვარულს; ქალიშვილების წინ ჩამწკრივებული იყვნენ პატარა ვაჟები თეთრი ქულაჯებით, შემდეგ კი საზოგადოება ნახევარი ვერსის სიგრძეზე, ადმინისტრაცია ინტელიგენციით. პირველად მგოსანთან მივიდა ონის დეპუტატი დავ. კერესელიძე, პურ-მარილით და მიჰმართა:

„სალამს გიძღვნი მე როგორც წარმომადგენელი დ. ონის, დიდებულო მგოსანო, დამამშვენებელო ერისა და ჩვენი ქვეყნისა. აღტაცებით, სიხარულით და პატივისცემით მოგეგებებით პურ-მარილით თქვენ, ღირსეულო მამულიშვილო. თქვენი მოსვლა ყველასათვის აღმტაცებელი და აღმაფრთოვანებელია, ვინაიდან ვიგრძენით სულიერად აღმატება, ყველას გვიძგერს გული და გვიშფოთავს სული ამ დიადი სიხარულისაგან, რომელიც თქვენმა მოსვლამ გამოიწვია. სწორედ დღეს გაგვითენდა ონელებს ის დღე, რომელიც მეტად სამნიშვნელო და სასიამოვნოა ჩვენთვის; დღეს დაჰკრა იმ საათმა, რომელმაც გვამცნო დიადი სხივის შემოშუქება ჩვენს მიბნელებულ მხარეში. ჩვენმა ონმა, სადაც სხვა დაბებთან შედარებით ის მოკლებულია გონებრივ სიფხიზლეს, დღეს გამოიღვიძა, შეინძრა, შეტოკდა და სულიერად აღსდგა თვითეული ჩვენთაგანი დიდებული მგოსნის დანახვით. ეს დღე ყველას აღგვებეჭდება სამარადისოდ ხსოვნაში განურჩევლად სარწმუნოებისა და ერთხმად შემოგძახებთ: „დიდება თქვენს სახელს, ვაშა თქვენს მობრძანებას, ჩვენო დიდებავ და შვენებავ, მგოსანო აკაკი!“.

ამის შემდეგ მიეგება მგოსანს მოკლე მისასალმებელი სიტყვით **რაჭის მაზრის უფროსი ნ. ჩერნოვი.**. ჭიშკრის კამარის გასავალთან წარუდგა მგოსანს **სტუდ. ალ. ჯაფარიძე** თეთრ ჩოხა-ახალუხში და უთხრა აზრიანი და მგძნობიარე ლექსი; — რომელსაც აქ ვერ ვათავსებთ.

მგოსანმა გადაჰკოცნა იგი და ყველას მადლობა უთხრა; შემდეგ მგოსანს წაუძღვნენ ეკლესიაში; გალავანში ჩასვლისას შემოეგება მას **თავ. დიმ. ყიფიანის მეუღლე კნ. პელაგია** შემდეგი სიტყვით (ქალთა წარმომადგენელი): „ქართველი ერის დიდებავ, თანამედროვე რუსთაველო, ბატონო აკაკი! დღევანდელი დღე ჩვენი კუთხის მცხოვრებთათვის იმდენად არა ჩვეულებრივია, რომ ჭეშმარიტად გაკაჟებული უნდა იყოს ადამიანის გული, რომ ჩვენს სატრფოდან არ აომხეთქოს გრძნობათა ღელვამ... ამისათვის ნება მომეცით მოგმართოთ ორიოდე სიტყვით: თქვენს მადლით ცხებულს კალამს, რომელიც ყოველთვის ხატავდა თქვენი სათაყვანო სამშობლოს ბედის ჩარხის ტრიალს, არ შეეძლო არ შეჰხებოდა ქართველი ქალის დღევანდელ ვითარებას. მართლაც სიცხადით გულდაჩაგრულს არა ერთ გზით წამოგიყენებიათ სევდითა და კაეშნით მორთულ ასოებით დახატული თანამედროვე ქართველი ქალის ტიპიური სურათი; სურათი, რომელიც გულის დამლადრავია, ყოველი თვისი ერის ჭეშმარიტი შვილისათვის და განსაკუთრებით ჩვენ ქალთათვის, რომელთა სამარცხვინო ნიმუშსაც იგი წარმოადგენს. მაგრამ თუ ერთის მხრით თქვენ მიერ აღბეჭდილ სურათს გამოუწვევია ჩვენში მწარე გრძნობები, მეორე მხრით იმავე სურათს ჩაუსახია მტკიცე სიყვარული და მისწრაფება ჩვენ შორის მისი ოდნავ წაბაძვისა.

ნუ გაიტეხ გულს მხცოვანო მგოსანო! განა თვით თქვენ არ გვანუგეშებთ, რომ ჩვენ ლეჩაქ მოხდილ სატრფოს მხოლოდ სძინავს, არ მომკვდარაო!? მტრების გულის გასახეთქად მართლაც არ მოვმკვდარვართ ჯერ... ამ ჩვენს პაწია კუთხეშიც მოიპოვებიან ისეთნი, რომელთაც ჯერ კიდევ არ შესძულებიათ ვარდი და ია და სატრფიალო საგნად არ გაუხდიათ „კალინა“ და „მალინა“. მაგრამ ეს კი ვრის, რომ თუ ოდესმე ვსაჭიროებდით, ეხლა ამ გადაგვარების გაძლიერების ხანაში ორ წილ მეტად საჭირონი არიან ტარიელები, რომელნიც დღე და ღამ ნესტან-დარეჯნის გამოხსნას ემსახურებოდნენ... გთხოვთ, ჩვენო ეროვნულო ლამპარო, ნუ მოგვაკლებთ ჩვეულებრივ მზრუნველობას, ცუდში გვამხილე და კეთილში წაგვაქეზე;

„ნუ დაგეკარგვის იმედი,
არ დაგასუსტოს ჭაღარამ
გმირები სძებნოს, შეჰკრიბოს
შენმა დაფმა და ნაღარამ“.

კნეინა ყიფიანის სიტყვის შემდეგ მგოსანი შეიყვანეს ეკლესიაში. იყო უკვე ნაშუადღევის სამი საათის ნახევარი.

(შემდეგი იქნება)

ლადო ბზვანელი.

ახალციხე და ახალქალაქი

ეს ორივ ქალაქი ქართველთა ქალაქებია, მაგრამ ქართული მხოლოდ-ღა სახელები შერჩენია, თო-

---

*) იხ. ,,სახ. გაზ.“ № 636.

გარეული იხვი

ჰენრიკ იბსენისა.

დრამა ხუთმოქმედებად.

(დასასრული)

ჰიალმ. მე ვიცი ჩემი მოვალეობა. უსალსრო მოხუცი ჩემთან წამოვა. მე წავალ ქალაქში და დავიქირავებ... (გაუბედავად). კიბეზედ... ჩემი შლიაპა არავის უპოვნია?

გინა. არა, შლიაპა დაკარგე?

ჰიალმ. ყოველ ექვს გარეშეა, ღამე რომ დავბრუნდი თავზედ მეხურა... ეს უცილობელია. დღეს დილით კი ველარსად ვერ ვიპოვე.

გინა. ღმერთო, და განა სად იარე იმ ღამის მოხეტიალეებთან?

ჰიალ. ოჰ, ნუ მეკითხები მაგისთანა სისულელეებს. ნუ თუ შენა გგონია, იმისთანა სულის მდგომარეობაში ვარ, რომ ყოველი წვრილმანი მახსოვს?

გინა. ემანდ რომ გაცივებულიყავ, ეკდალ. (გადის სამზარეულოში).

ჰიალ. (თავისთვის ლაპარაკობს, ნახევარ ხმით, გაჯავრებული კილოთი. თან ყველაფერს ალაგებს მაგიდის უჯრიდგან). ძალიან უკეთური, არ დასარჩენი კი ხარ, რელლინგ! ვერაგი! უსვინდისო, მაცდური!.. კარგი იქნება, მოგეპაროს კაცი და მოგკლას. (რამდენსამე ძველ წერილს გვერდზე აწყობს. იპოვის გუშინდელს დახეულს ქაღალს, იღებს ხელში და დაწვრილებითა შინჯავს, მაგრამ გაიგონებს გინას ფეხის ხმას და იქით გადასდებს).

გინა. (მაგიდაზედ ყავის ჭურჭელს ალაგებს). ყავა ცხელია... იქნებ მიირთვა, ეკდლად? ბუტერბროდებიც არის, ცოტა წნილიც.

ჰიალმ. (ცალი თვალით შეხედავს სინს). წნილი... არასოდეს, რომ მე ამ სახლში ერთი ნამცეციც არის ავილო. აი უკვე თითქმის მთელი დღე-ღამეა არაფერი მიჭამია... მაგრამ სულ ერთია... ჩემი ნაწერები... ჩემი მოგონებანი, ჩემი დღიური და სხვა უმთავრესი ქაღალდები სადღაა? (გააღებს კარებს საძილო ოთახში და უკან იწევს). ისევ ის!..

გინა. ღმერთო ჩემო, ეგეც უნდა იყოს სადმე, თუ არა?

ჰიალ. გამოდი მანდედგან. (გზას აძლევს. ედვიგი შეშინებული სახით შემოდის. გინას). შემიძლიან თუ არა ამ უკანასკნელს წუთებში მაინც, რომელსაც ჩემს სახლში ვატარებ, განთავისუფლდე უცხოთა აქ ყოფნისაგან? (შედის საძილო ოთახში).

ედვ. (დედასთან მირბის. ჩუმი აკანკალებულის ხმით), დედა, ამა, ჩემზედ ამბობს?

გინა. სამზარეულოში იყავი, ედვიგ. ან არა, სჯობს პაპასთან შეხვიდე. (ჰიალმარს, საძილო ოთახში-დაიცა, ჰიალმარ, კამოდს აგრე ნუ ურევ: მე ვიცი სად რა აწყვია.

ედვ. (სდგას პატარა ხანს გაუნძრევლად და სცდილობს ტირილი შეიმაგროს). ისევ გარეული იხვი. (ჩუმად მიდის წიგნთსაწყობთან, იღებს დამბაჩას, ცოტას გასწევს ფარდულის კარებს, შეიპარება შუა და კარებს ისევ გაასწორებს).

(საძილო ოთახში გინა და ჰიალმარი ჩხუბს დაიწყობენ.)

ჰიალ. (შემოდის რამდენიმე დაწერილი ფურცლით და ძველი დაფლეთილი ქაღალდით, რომლებსაც მაგიდაზედ აწყობს). აბა, სად გამოდგება ესეთი პატარა ჩემოდანი, როცა ვინ იცის რამდენი რამ უნდა წავიღო.

გინა (უკან მისდევს საკვოიაჟით). ჯერ ყველაფერი აქ დასტოვე. თან მხოლოდ პერანგი და ორი მისი ამხანაგი წაიღე.

ჰიალმ. ოჰ, ეს ადამიანის მომქანცი ჩალაგება. (პალტოს გაიხდის და დივანზედ დასდებს).

გინა. ყავა კი ცივდება.

ჰიალმ. ჰმ-.. (მოსვამს ყავას, შემდეგ კიდევ).

გინა. (სავარძლიდან მტვერს სწმენდავს). ყველაზედ ძნელი შენთვის ბაქიებისთვის მოფარდული ბინის შოვნა იქნება.

ჰიალმ. რა? ახლა მაგათ იქაც გადავიყვან, აი!

გინა. მერე, პაპას ხომ უმაგათოთ ცხოვრება არ შეუძლიან.

ჰიალ. უნდა გადაეჩვიოს. მე ხომ უფრო დიდს რამესა ვყოფ უარსა.

გინა. (წიგნების საწყობსა სწმენდავს). ფლეიტაც ჩავდო საკვოიაჟში?

ჰიალ. არივითარი ფლეიტა არ მინდა. აი, დამბაჩა კი ჩადე.

გინ. დამბაჩა გინდა წაიღო?

ჰიალ. ჰო, გატენილი დამბაჩა.

გინ. (ეძებს). აქ არ არის. ალბად პაპამ წაიღო.

ჰიალ. განა ის იქ არის?

გინა ჰო.

ჰიალ. საწყალი! მარტო! (აიღებს ბუტებროდს, შესჭამს და დალევს ერთს ფინჯანს ყავას).

გინა. ოთახი რომ არ გაგვექირავებინა, შეგეძლო იქ გეცხოვრა.

ჰიალ. რომ იმავ ჭერ-ქვეშ ვიცხოვრო, რომელ.., არასოდეს! არა გზით!

გინ. გინა არ შეიძლებოდა ერთი-ორი დღე საძილო ოთახში გეცხოვრა, იქ მარტოდ მოეწყობოდი.

ჰიალ. ამ კედლებ შუა? არასოდეს!

გინა. მაშ ძირსა? რელლინგსა და მოლვიკთან?

ჰიალ. იმათზედ ნურაფერს ნუ მეუბნები. მხოლოდ ერთი მათი მოგონებით მადა მეკარგება. არა, არა, წავალ აქედან და ცივს ქარიშხალსა და ნამქერში ვივლი სახლიდან სახლში, რომ დასაძინებელი ადგილი ვითხოვო ჩემსა და მოხუცი მამიჩემისთვის.

გინა. შლიაპაც კი არა გაქვს, ეკდალ. შენ ხომ ის დაკარგე.

ჰიალ. ოჰ, ეს გარყვნილების მორევში ჩაცვივნული საძაგლები! უნდა ვიშოვო სადმე შლიაპა. (იღებს მეორე ბუტერბროდს). უნდა როგორმე მოვახერხო. მე არავითარი სურვილი არა მაქვს სიცოცხლე გავწირო. (რაღასაც ეძებს სინზედ).

გინა. რას ეძებ?

ჰიალ. კარაქს.

გინა. ემ საათში მოგიტან. (სამზარეულოში მიდის).

ჰიალ. არ მინდა. ცარიელი ხმელი პურის ნატეხითაც დავკმაყოფილდები.

გინა. (შემოაქვს კარაქი). აი ახალია. (გაუკეთებს მეორე ფინჯანს ყავას).

ჰიალ. (პურზედ კარაქს სქლად წაუსვამს. ცოტა ხანს ჩუმად სვამს და სჭამს). შემიძლიან ერთი ან ორი დღე ვიცხოვრო საძილო ოთახში, მხოლოდ იმ პირობით, რომ სრულიად არავინ არ მიშლიდეს?

გინ. რასაკვირველია,

ჰიალ. იმიტომ რომ შესაძლებელი არ არის მთლად მამიჩემის რამეები ერთად წავიღო.

გინა. და ამასთანავე, ჯერ უნდა იმასაც გაუმჟღავნოთ, რომ ჩვენთან ცხოვრება აღარ გინდა.

ჰიალ. (ფინჯანს გადასდგავს). ჰო, რასაკვირველია, ეგეც. კიდევ ყველა ეს... უნდა ძალლონე მოვიკრიბო, დავისვენო. მე ხომ, მართლაც, არ შემიძლიან ამდენი რამ სულ ერთს დღეს შევასრულო.

გინა. თანაც დღეს ამისთანა ცუდი დარია.

ჰიალ. (ვერლეს წერილს იქით მისწევს). ეს ქაღალდი ისევ აქ გდია.

გინა. მე მაგისთვის ხელი არ მიხლია.

ჰიალ. ან კი რა ჩემი საქმეა, ეგდოს.

გინა. მეც რასაკვირველია, არა ვფიქრობ მაგ ქაღალდით ვისარგებლო.

ჰიალ. ჰო, მაგრამ არც გადაგდება უნდა. გადასვლ-გადმოსვლაში ადვილად შეიძლება...

გინა. არა, მე ყურს ვუგდებ, რომ არ დაიკარგოს.

ჰიალ. ეს საჩუქრებითი ხელ-წერილი ყველაზედ უწინ მამას ეკუთვნის. ეს კერძოდ იმისი საქმეა, ინდომებს მითი სარგებლობას, თუ არა.

გინა. (ოხრავს). საწყალი, მოხუცი მამა!

ჰიალ. ყოველ შემთხვევაში... სადა გაქვს შრეში?

გინა. (მიდის წიგნთსაწყობისკენ) აქ არის.

ჰიალ. ფრთა?

გინა. ისიცა. (მოუტანს ორთავეს).

ჰიალ. (მაკრატელს აიღებს). წვრილი ქაღალდი უნდა დავაკრა მეორე გვერდზედ. (სჭრის და აკრობს) არ მინდა სხვის საკუთრებას ვფლობელობდე. მით უმეტესს, თუ იგი ეკუთვნის უსალსრო მოხუცს და მის—მეორეს.., აი, პატარა ხანი ესე იდოს. როცა გაშრეს შეინახე. ამ ქაღალდის დანახვაც კი არ შემიძლიან, (ტალანიდგან შემოდის გრეგერს ვერლე).

გრეგ. (ცოტა შეკრთება). როგორ? შენ აქა წევხარ, ჰიალმარ?

ჰიალ. (უცბად წამოხტება). არა, მხოლოდ დაღლილობისაგან წამოვიქეცი.

გრეგ. როგორც გეტყობა, კიდეც გისაუზმია აქა?

ჰიალ. სხეულსაც აქვს თავისი მოთხოვნილებანი.

ვრეგ. ბოლოს მაინც რა გადასწყვიტე?

ჰიალ. ჩემისთანა კაცისთვის მხოლოდ ერთი გზაა. გადავწყვიტე, მხოლოდ საჭირო ნივთები წავიღო. ამისთვის საჭიროა, რასაკვირველია, დრო.

გინა. (ცოტა მოუთმენლად). ოთახი მოგიმზადო, თუ ჩემოდანი ჩაგილაგო?

ჰიალ. (ბოროტის თვალით შეხედავს გრეგერსს) ჩაალაგე ჩემოდანი... და მოამზადე ოთახი.

გინა. (საკვოიაჟს აიღებს). მაშ პერანგსა და სხვა რამეებს ჩავდებ. (გადის საძილო ოთახში).

გრეგ. (პატარა სიჩუმის შემდეგ). არ მეგონა თუ ეს ესე გათავდებოდა. ნუ თუ უკეთესი ვერაფერი მოიგონე ოჯახისა და ცოლ-შვილის დატოვების გარდა.

ჰიალ. (მოუსვენრად დადის ოთახში). მაშ რა უნდა მექმნა? გაჩენილი ისე ვარ, რომ უბედურობის ატანა არ შემიძლიან, გრეგერს. ჩემთვის საჭიროა კარგი, წყნარი და მშვიდი ცხოვრება.

გრეგ მერე, არ შეგიძლიან ეგ შექმნა? აბა, სცადე. მგონი ეხლა აქ ნიადაგი მტკიცეა, და იმაზედ შეიძლება მშვიდად შეჰქმნა რაც გინდა. დაიწყე თავიდგან. მოიგონე, ბოლოს, რომ შენ უნდა იცხოვრო, რათა გააუმჯობესო ფოტოგრაფია შენი გამოგონებით.

ჰიალ. ეჰ, ნუღარას მეტყვი მაგ გამოგონებაზედ. იქამდის ჯერ შორს არის.

გრეგ. როგორ?

ჰიალ. ოჰ, ღმერთო, და რაღა გამოვიგონო აბა მე? თითქმის ყველაფერი ცხვირ წინ გამომაცალეს და გამოიგონეს სხვებმა; ყოველ დღე სულ ძნელი და ძნელი ხდება.

გრეგ. მერე, ამდენი შრომა დახარჯე.

ჰიალ. ეგ წყეულმა რელლინგმა მიმიყვანა მაგ აზრამდე.

გრეგ. რელლინგმა?

ჰიალმ. ჰო, იმან პირველმა დამარწმუნა, რომ შემიძლიან რაღაც ახალი რამ შევძღვნა ფოტოგრაფიას.

გრეგ. აი თურმე რა. მაშ ეს რელლინგი იყო?

ჰიალმ. ჰო, და მე მთელი გულით ბედნიერებასა ვგრძნობდი. რასაკვირველია, საქმე გამოგონებაში არ იყო და არც ჩემში, მხოლოდ ედვიგსა სწამდა ესა, სწამდა ბავშვური გატაცების მთელი ძალით, ე. ი. მე, სულელს მეგონა, სწამს მეთქი.

გრეგ. მაშ შენ შესაძლოდ მიგაჩნია, რომ ედვიგი განგებ გარწმუნებდა, მჯერაო?

ჰიალ. ეხლა მე ყველაფერი გავიგე, საქმე რაშიც არის. ედვიგი მეშლის. ის აკლებს, სტაცებს ჩემს სიცოცხლეს სიხარულსაცა და ბედნიერებასაც...

გრეგ. ედვიგი? ედვიგს როგორ შეუძლიან სიხარული და ბედნიერება მოგაკლოს?

ჰიალ. (არ უპასუხებს). მე კი რა განუსაზღვრელი სიყვარულით მიყვარდა იგი. სახლში რომ ვბრუნდებოდი და ის გამოიქცეოდა ჩემსკენ, მომეგებებოდა ხოლმე თავისი ტურ-

რემ ქართველობისა აქ არაფერი აღარ დარჩენილა. ყველგან სომხობა გამეფებულა. ორივ ქალაქი მათ ჩაუგდიათ ხელში. ვაჭრობა, მრეწველობა, ქალაქის მართველობა და სხ. ყველგან სომხური ლაპარაკი გესმით, სავაჭროებზე სომხურ გვარებსა ჰკითხულობთ. ქართველი ქათოლიკებიც-კი სომხობას გადუბირებია თავისაკენ და სომხეთა ნუსხაში მოუქცევიათ. ერთის სიტყვით ამ ქართველთა ქალაქებში, სადაც ქართველთა აუარებელი სისხლია ჩაქცეული და ყოველი მტკაველი ადგილისა ქართველთა ძვლებითაა მოკირწყლული, სადაც ქართველნი თავ-გამოდებით იბრძოდნენ შემოსეულ მტერთან და ზედ ეკვეთდნენ, დღეს ქართველთა ჩამომავლობა განდევნილ-განადგურებულია.

დიდებული **საფარის მონასტერი** ახალციხიდან 4 ვერსით მოშორებული, შესანიშნავი **ვარძიის მონასტერი**, ახალქალაქიდან 15 ვერსზეა დაშორებული, რომელთაა ნახვით ევროპიელნი მოგზაურნიც კი განცვიფრებაში მოდიან, საუბედუროდ ჩვენგან უზრუნველად მიტოვებულია.

ვინაა მსხნელი, რომ ეს ორი კოპწია ქალაქი ისე მოაწყოს, რომ ქართველობას სამუდამოდ ხელიდან არ გამოეცალოს?

ჩვენ გვაქვს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გვაქვს დაარსებული ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, აგრეთვე საქველ-მოქმედო და კიდევ უკეთესი,—ქართული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. ამ ოთხ საზოგადოებას შეუძლიანთ შეერთებულის ძალით უშველოს ამ ქალაქებში ქართული სულის გაძლიერებას.

ახალქალაქში ერთი აუარებელი სახლი კეთდება საუკეთესო ადგილზე; ვიკითხე ვინ აშენებს და რას აშენებენ-მეთქი? იყო პასუხად: აქ შენდება თეატრი, სკოლა, სამკითხველო და სხვა,—სომხების საქველმოქმედო საზოგადოება აშენებსო. ასე მარჯვედ არიან ჩვენი მეზობელი სომხობა ჩვენში, აი ასეთ საშვილიშვილო ბინას და საეროვნო საქმეს აკეთებენ ისინი ჩვენში და ჩვენ კი აქედან გავრბივართ და აზრადაც არ მოგვდის ის, რომ ჩვენი მომავალი თაობა ამისთვის წყევლა-კრულვით მოგვიხსენიებს ისევე, როგორც დღეს ვიხსენიებთ მათ, ვინც პირველად აქედან გადაიხვეწა და მიატოვა ეს სანატრელი ქვეყანა. ვსთქვათ აქამდის ძნელი იყო ამ ქალაქებში მისვლა-მოსვლა, ახლა? ახლა ხომ რკინის გზებია ახლო და გზატკეცილებიც ისე კარგია, რომ ავტომობილებით სწრაფი მიმოსვლა შეიძლება. ახლა მაინც მივბაძოთ ჩვენს მეზობელ სომხებს და მათებრ ამ ორივ ქალაქებში ჩავყაროთ საეროვნო საძირკველი ისეთი სახალხო საერთო სახლებისა, როგორც შენდება დღეს ახალქალაში, სადაც შემოვიკრებთ ყველა აქაურ ქართველობას და დავეწაფებით კულტურულ მუშაობას.

ბევრი იტყვის, შეიძლება მთავრობამ ნება არ მოგვცეს, ხელი შეგვიშალოსო. არა ბატონებო, ქართველთა ახალშენები ბაქოშიაც გახლავთ, კავკავშიაც და ხელის შემშლელი არავინა ჰყავთ. ჩვენი უფლება და მოვალეობაა ასე მოვიქცეთ და ხელს არავინ შეგვიშლის ამ წმინდა საქმეში.

გიგო თოიძე.

ხმა კახეთიდან

(დასასრული *)

გაუდექით გზას. გზა მეტად ვაკე და კარგი, მაზე სიარული სასიამოვნო იყო, არა თუ გზატკეცილი სოფლის შარა გზაც-კი კარგად შეკეთებული აღმოჩნდა, რაც იშვიათია კახეთში.

გზის აქეთ-იქით სოფლელთ კალოები გაემართათ. გახურებული ლეწვა იყო, ზოგს უკვე გაეთავებინა. გლეხის ოჯახი ბალღიან-აკვნიანად მთლად კალოზე გადმოსახლებული-ყო. დიდი, პატარა ქალი, თუ კაცი კალოს დარაგრაგებდა, კვირა დღე იყო, მაგრამ მუშაობდნენ, (საქონელი-კი არსად არ ებათ, პირუტყვს შესვენება უნდა) წლის მოსავალი გარედ ცის ქვეშა ჰქონდათ და არც ღმერთი უწყენდათ უქმის გატეხას, ზოგ კალოზე მივესალმე, ვუსურვე მშვიდობით ჩაკლება და შემდეგში უკეთესი მოსავალი.

იყალთოს ბოლოში გავიარეთ. ამ სოფელთან კაცმა არ შეიძლება არ ახსენოს იქ მცხოვრები ცნობილი ქველმოქმედი ნამდვილი ადამიანი პატივცემული თავ. დიმიტრი ივანეს ძე მაყაშვილი, თუ როგორ გულშემატკივრობას იჩენს ყველა ჩვენი სმზოგადო საქმისადმი და ნივთიერად ეხმარება კიდეც...

აწყურიდან კარგად მოსჩანს ორკლასიან სამრევლო სკოლის შენობა, რომელიც ერთად-ერთია მთელ კახეთში. სხვათა შორის სკოლაში წინად სამეურნეო განყოფილება იყო, რამდენადაც ვიცით, სასურველი ნაყოფი მოჰქონდა, ხოლო ეხლა მოწესრიგების მაგიერ მგონი მასწავლებელი მებაღე აღარც კი ჰყავთ...

ერთ სოფელში ხალხი შეგროვილიყო, სხვათა შორის ლაპარაკი ჰქონდათ კოდის პურზე, პურის მაგიერ ორი მანეთის გადახდას თხოულობდნენ. მღვდელი ჩემი ნაამხანაგარი გამოდგა, ყოფილი სოფლის მასწავლებელი, შემომჩივლა წინანდელი უსაყვედურო 25 მან. მერჩივნა ასეთ დავიდარაბასაო...

ოჟიოში მივედით. აქ 80 კომლ გლეხ კაცთა გარდა აზნ. ანდრონიკაშვილები ცხოვრებენ. ძალიან ჩამოცხა, თავისუფალი დრო ბევრი გვქონდა და ყველა ვინახულეთ. უშველებელი სუფთა და გაწყობილი კარ-მიდამო კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა, საზოგადოდ ყველანი შრომის მოყვარენი არიან, რის გამოც ცხოვრებითაც არა უჭირთ რა. ყველა ეზოში „ფრთა მოქცეულები“ იდგა, ელოდებოდნენ გაღმიდამ სალეწ მანქანას. პურის მოსავალს-კი ვერ აქებდნენ, ვენახებს ოჟიოში არა უშავს რა, მხოლოდ ხორხელში ძალიან დასეტყვილიყო.

ყველამ გვთხოვა დავრჩენილიყავით, მაგრამ პირობა წინ და წინვე ილია ანდრონიკაშვილს მივეცით, რომელთანაც საღამომდე დავყავით. იგი განათლებულად ცხოვრობს და შვილებს საშუალო სასწავლებელში ზრდის.

ოჟიოს მახლობლად მდებარე სოფლები ხორხელი, კოლოთი, ალავერდი და ჯანაანი დაცემულ-ჩავარნილ ადგილას მდებარეობენ ზაფხულობით ციებ-ცხელება ძალიან გავრცელებულია, ეს ჰავის გარდა უწყლობასაც უნდა მიეწეროს, ამ სოფლებს სასმელი წყალი არა აქვთ, ხევის აშმორებულ დამპალს წყალს ხმარობენ და საწამლავსავით მოქმედობს მცხოვრებლებზე, ზოგი სოფელი ამოწყვეტის გზაზეა დამდგარი, ზოგისა მარტო სახელი და არსებობს.

ეს მხარე სწავლა-განათლების მხრივ ძალიან ჩამორჩენილია, არც ერთ სოფელში სკოლა არ მოიპოვება...

დავიწყებული.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

30 აგვისტო.

საზღვარ-გარედ

სერბიის ვითარება.

ბელგრადი. მეფესა და სკუპჩინის თავმჯდომარეს ახალ კაბინეთის შედგენის თაობაზე თათბირი ჰქონდათ. პაშიჩთან მოლაპარაკება აქვთ, საკოალიციო კაბინეთი შეადგინეს ახალგაზრდა და ძველ რადიკალებისაგანაო.

ამას წინად მთავრობამ, გაჭირვების გამო, აკრძალა ხორბლეულის საზღვარ-გარედ გატანა. ეხლა ვაჭრები ითხოვენ, იმის გატანის ნება მაინც მოგვეცით, რაც უკვე გაგვიყიდიაო. ასეთი ყოფილა 3 ათასი ვაგონი. თუ ვაჭრებს თხოვნა არ აუსრულეს, უცხოელთა ფირმებს აზრადა აქვთ სახელმწიფოთა დიპლომატიას მიჰმართონ. თუ მთავრობამ უარი უთხრა ვაჭრებს, ფინანსებს დიდი საფრთხე მოელის. მთავრობას ვაჭრების თხოვნა აუსრულებია.

თუმცა ეხლა თითქმის ყველაფერი მიწყნარებულა, ხალხი მაინც ომის გუნებაზეა.

პაშიჩის კაბინეთის შედგენას დღეს საღამოს აპირებენ.

ჩინეთი.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, ივლისის შუა რიცხვებში ამას წინად მოლაპარაკება რომ გაიმართა, ჩინეთმა თავისი სესხის საქმე მოაწყოო. ხელშეკრულებისათვის ხელი მოუწერიათ ჩინეთის ელჩს და ერთს ლონდონის ბანკსა. ამბობენ, ჩინეთს 10 მილიონი თუმანი უსესხნია, ორმოცის წლის ვადით, 5 პროცენტითაო. სესხი ისეთი სასტიკის კანტროლით არ არის შეზღუდული, რანაირსაც ექვსთა კავშირი მოითხოვდა. თუ ფულის გადახდა რაიმე მიზეზის გამო შეფერხდა, შეიძლება საბაჟოს კანტროლი ითხოვონ მსესხებლებმაო.

პეკინი. ქუანსინი და ჩენციმეი ჩამოვიდნენ. პრეზიდენტის ბრძანებით სუნვენმა უნდა შეიმუშაოს რკინის გზის გაყვანის გეგმა.

მუკდენი. შიდა მონღოლეთში დატრიალებულ ამბების გამო, ჯაორსენს ისევ გაუფართოეს უფლება და ციციკარ-გირინის დუდუები ძველებურად იმას უნდა ჰმორჩილებდნენ.

ბალკანეთი.

სტამბოლი. თუმცა ბალკანეთის სახელმწიფონი მეგობრობას აცხადებენ, აქაური საპოლიტიკო წრეები მაინც შეშინებულნი არიან შინაურ უთანხმოებათა გამო. განსაკუთრებით საშიშად მიაჩნიათ ალბანეთის აჯანყება და ბულგართა სარევოლუციო მოღვაწეობა, რასაც მთავრობა ვერ გამკლავებია. ყველგან არეულობაა: მაკედონიაში და სხვაგან. დიარბექირიდან იუწყებიან, ქურთებს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ და ბევრი დაჰხოცესო.

სოფია. გაზეთი „მირი“ მოწინავე წერილში ამბობს: „დიდი ხანია, რაც სახელმწიფოების ზრუნვას ის შეადგენს, ბალკანეთში რაიმე შებრძოლება არ მოჰხდეს. ამის გამო, ოღონდ ომი აეცილებინათ თავსა, ბალკანეთის სახელმწიფოებს უხეშ წინადადებით მიჰმართავდნენ ხოლმე. ბერტჰოლდის წინადადებაც იგივ საბალკანეთო ომის შიშია. თუ ეს წინადადება იმ იმედითაა წამოყენებული, ოსმალეთი თავის წესწყობილების მოწყობას მოახერხებსო, ტყუილად გაირჯებიან, ვერაფერს გააკეთებენ. ბალკანეთის სახელმწიფოთა ნდობას კი დაჰკარგავენ, მეტის მოთმენა შეუძლებელია—ცდა აღარ ძალგვიძს. თუ გრაფ ბერტჰოლდის თაოსნობით დაწყებულ საქმეს შედეგად არა მოჰყვა რა და ევროპის ოსმალეთი ძველებურად დარჩა, ბალკანეთის სახელმწიფონი იძულებულნი იქნებიან მორჩილების პოლიტიკაზე ხელი აიღონო“.

მადლობის გამოცხადება.

ვენა. იმპერატორი ფრანც-იოსები რესკრიპტით მადლობას უცხადებს მინისტრ-პრეზიდენტს გრაფ შტურგკს. მადლობას განსაკუთრებით სამხედრო რეფორმის კანონპროექტთა გაყვანისათვის უცხადებს. შტურგკს ბარონობა უბოძეს.

ალბანელები.

ვენა. მირიდიტების ბელადი ბიდოდი, ალბანეთის მდგომარეობის გამო „ცაიტში“ სწერს: სკუთარიდან 10 ვერსის მანძილზე 15 ათასი მირიდიტი ებრძვის ოსმალეთის ჯარსა. ბიდოდის აზრით, სრულ მშვიდობიანობისათვის საჭიროა ძლიერი დეცენტრალიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ოტომანთა იმპერიის ცალკე ნაწილები უცხო სახელმწიფოებს სთხოვენ დახმარებასაო.

სტამბოლი. სამხრეთ ალბანეთში ხელახლა ამტყდარა არეულობა. ამის გამო იქითკენ ჯარი გაიგზავნა.

აქ ბევრი ეგვიპტელი გაჩხრიკეს. გაჩხრიკეს აგრეთვე ეგვიპტელთა კლუბი.

ოსმალეთი.

სტამბოლი. რედიფების რაზმი, რომელიც ახლახან უნდა გაესტუმრებინათ სახლში და რომელიც დარდანელის ნაპირებზე იდგა, აჯანყებულა. მათ წინააღმდეგ გაჰგზავნეს გაწრთვნილი ჯარის ბატალიონი, რომელთაც მეამბოხენი დაამარცხეს. ბრძოლის დროს რამდენიმე კაცი დაუჭრიათ.

სალონიკის მთავრობას აღუკრძალავთ იმ სამხედრო ნივთების საზღვარზე გატარება, რომელიც სერბიელთათვის არის გაგზავნილი. სერბიის ელჩს პორტისათვის უთხოვნია, ნება მოგვეცით ნივთების გატარებისაო. პორტას ბარგის აღწერილობა მოუთხოვნია. ბოლოს დასთანხმებია ბარგის საზღვარზე გატარებასა.

ველესში დინამიტის აფეთქების გამო 15 ბულგარი დაუპატიმრებიათ.

„ოტომანის სააგენტო“ უარჰყოფს იმ ხმებს, ვითომ უსკიუბის გარნიზონში რაიმე მოძრაობა და ჩოჩქოლი ყოფილიყვეს.

სპარსეთი.

თავრიზი. სერაბიდან იუწყებიან, შაჰსევენების ტომი გიევლუ სამ ნაწილად გაიყო: ერთი სოფლებს მოედო, მეორე ხოჯაბეკლინელებს მიემხრო, მესამე—ხოჯა ხოჯადინელებსაო. ხოჯაბეკლინელები მუღანში დარჩენ, სხვანი მეშკინში არიან და გადაუწყვეტიათ რუსებს დაესხნენ თავსა და თუ დამარცხდნენ, ოსმალეთს მიაშურონო.

რუსეთის კონსულის მოთხოვნილებისამებრ საპეხდარმა რუსეთს გადასცა სახელ-გახთქმული ყაჩაღები ქერიმ-ხან-რეშიდ-დოულე და ჰუსეინ-ხან-მარალანი, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიუღიათ დეკემბერში რუსებზე თავდასხმაში.

თეირანი. სალარ-უდ-დოულეს ხელ-ახლად აუღია ქერმანშაჰი და შეერთებია მომხრე იარ-მოჰამედსა. გენერალ-გუბერნატორის ფერმან-ფერმის მდგომარეობა ძალიან კრიტიკულია.

ბულგარეთი და რუმინია.

ბუქარესტი. სოფიას დაბრუნდა ბულგარეთის ელჩი კალინკოვი. გაზეთების სიტყვით მისთვის დაუვალებიათ რუმინიასთან მოლაპარაკეა. რუმინია უნდა დაარწმუნონ, რომ ბულგარეთს მაკედონიაში მხოლოდ ერთი მიზანი აქვს — ქრისტიანთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

რუმინიის გაზეთები ბულგარეთთან დამეგობრების სურვილს სიხარულით ეგებებიან, მაგრამ იმედი როდი აქვთ მისი განხორციელებისა.

ოსმალეთ-იტალიის ომი.

სტამბოლი. იტალიის ესკადრა ნუოვთან დასცურავდა. ამბობენ, ყუმბარა დაუშინა ნაპირსაო.

იტალიისა და ოსმალეთის რწმუნებულთა თათბირი ცოტა ხნით შესწყდა. დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა.

რომი. „სტეფანის სააგენტო“ იუწყება, ოსმალეთის სამინისტროს ცნობა, ვითომც 17 აგვისტოს ოსმალებს იტალიელთა პოზიცია აეღოთ, ტყუილიაო. ნამდვილად, იტალიელებმა დაამარცხეს ოსმალნიო.

სომხები და ქურთები.

სტამბოლი. სომეხთა კათალიკოსს ვანიდან ატყობინებენ, რამდენსამე ოლქში ქურთებმა სომხები დაარბიეს, სოფლები გაძარცვეს, ერთი სოფელი გადასწვეს და 7 კაცი მოჰკლესო.

ფა, ცოტა მოჭუტული თვალებით, ყოველთვის ასე ბედნიერადა ვგრძნობდი ჩემს თავსა. მიმნდობო სულელო! მე იგი განუსაზღვრელად მიყვარდა, და ვფიქრობდი, დავარწმუნე ჩემი თავი, რომ იმასაც ეგრევე განუსაზღვრელად ვუყვარდი.

გრეგ. მერე, განა მართლა არ უყვარდი?

ჰიალ. როგორ შემიძლიან ეგ ვიცოდე გინასაგან ვერაფერს გავიგებ. და ამასთანავე, იმას არც შეუძლიან გაიგოს ცხოვრების იდეალური მხარეები. მაგრამ შენ უნდა გადაგიშალო ჩემი გული, გრეგერს. ყოველთვის ეს საშინელი ეჭვი... იქნება. ედვიგს არას დროსაც არ ვუყვარდი.

გრეგ. შენ რომ მაგის დასამტკიცებელი საბუთი მიიღო? (ყურს უგდებს) ეს რა ამბავია? მგონი გარეული იხვი ყვირის?

ჰიალ. მამაჩემი იქ არის.

გრეგ. ახ, იქ არის? (თვალები სიხარულით აენთება). მაშ უბედურმა, შენგან განდევნილმა ედვიგმა რომ დაგიმტკიცოს, რომ შენ იმას ნამდვილად უყვარხარ?

ჰიალ. რითი შეუძლიან დამიმტკიცოს? მე აღარავის სიტყვებს აღარ ვერწმუნები.

გრეგ. ედვიგმა არც კი იცის, თუ რა არის მოტყუება.

ჰიალ. აი სწორედ მაგაში არა ვარ, გრეგერს, დარწმუნებული. რამდენჯერ ჩურჩულობდნენ აქ გინა და ის... ქ-ნი სიორბუ, ედვიგი კი ყოველთვის და ყველაფერს გულდადებით უგდებს ხოლმე ყურსა. იქნებ ეს საჩუქრებითი წერილიც არც ისეთი მოულოდნელი რამ არის. თითქმის მგონია, რომ მაგგვარი რაღაც შემინიშნავს.

გრეგ. საიდან გამოგყავს ეგა?

ჰიალ. მე თვალები ამეხილა. აი, შენა ნახავ—ეგ წერილი მხოლოდ დასაწყისია. ქ-ნი სიორბუ ყოველთვის რაც კი შეეძლო ედვიგისთვის აკეთებდა. ეხლა იმან შეძლება მიიღო, რაც სურს ბავშვს აუსრულოს. იმას შეუძლიან სრულიადაც წამართვას, თუ მოინდომებს.

გრეგ. ედვიგი თავისს დღეში შენგან არ წავა.

ჰიალ. ეგრე დარწმუნებით ნუ ამბობ. იმან რომ სიმდიდრით გადიბიროს? მე კი ის ისე ძრიელ მიყვარდა!.. ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო ფრთხილად ხელ-ჩაკიდული მეტარებინა ისა, როგორც სიბნელეს მოშიში ბავშვი, ეხლა კი დამრჩა მხოლოდ დამტანჯველი რწმენა, რომ საწყალი ფოტოგრაფი არ იყო მისთვის ყველაფერი, როგორც მეგონა. ის თურმე მხოლოდ ცბიერად მაჩვენებდა თავსა და სცდილობდა დრომდე შეენახა კარგი განწყობილება.

გრეგ. შენ თითონ არა გწამს, ჰიალმარ, შენი სიტყვები.

ჰიალ. ჰო, მაგრამ სწორედ მაგაში არის მთელი უბედურება, რომ არ ვიცი და ვერც ვერასოდეს გავიგებ, რას ვერწმუნო. ან შენ ნამდვილად ეჭვობ, რომ ყველა ეს მართალი არ არის? ხა-ხა-ხა! შენ ძალიან ერწმუნები შენს იდეალურ საკითხებს, ძვირფასო გრეგერს; აბა ისინი მოვიდნენ თავანთი სიმდიდრით და უთხრან: დაანებე ჰიალმარ ეკდალს თავი, ჩვენთან წამოდი, იქ უფრო ემჯობინებაო...

გრეგ. (სწრაფად). მერე, შენი აზრით, ედვიგი რას ეტყოდა?

ჰიალ. და მე რომ ვკითხო: დასთანხმდები, ედვიგ, ჩემი გულისთვის უარი ჰყო ეგ ცხოვრება, (დაცინვით) აი მაშინ დაინახავ, რა პასუხს მივიღებ. (ფარდულიდან ისმის დამბაჩის ხმა).

გრეგ. (ხმა მაღლა და სიხარულით). ჰიალმარ!

ჰიალ. ის ისევ სანადიროდ წავიდა.

გინა. ახ, ეკდალ, მგონი პაპა იქ მარტოც წვალობს.

ჰიალ. მე ვნახავ...

გრეგ. (ცოცხლად. აღელვებული). დაიცა, იცი ეგ რა იყო?

ჰიალ. რასაკვირველია, ვიცი.

გრეგ. არა, ჰიალმარ, არ იცი, მე კი ვიცი. ეგ დამტკიცება იყო!

ჰიალ. რის დამტკიცება?

გრეგ. ბავშვური მსხვერპლი, იმანა სთხოვა მამაშენს, გარეული იხვი მოეკლა.

ჰიალ. გარეული იხვი?

გინა. აბა, ხედავ!

ჰიალ. რა მიზნით?

გრეგ. იმას უნდოდა შენთვის შეეწირა ის, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო ქვეყნად. იმას ეგონა, რომ მაშინ შენ კვლავ შეიყვარებდი იმასა.

ჰიალ. (ნაზად). ტურფა ბავშვი!

გინა. ეგ იმან როგორ მოიფიქრა?

გრეგ. იმას უნდა დაებრუნებინა შენი სიყვარული, ჰიალმარ, უიმისოდ იმას სიცოცხლე არ შეეძლო.

გინა. (ცრემლებს იმაგრებს). აბა, აი, ჰხედავ, ეკდალ.

ჰიალ. სად არის ედვიგი, გინა?

გინა. (ტირის) სამზარეულოშია, საწყალი.

ჰიალ. (მიდის, გააღებს სამზარეულოს კარებს და ეძახის). ედვიგ, ედვიგ, მოდი ჩემთან! (ათვალიერებს). აქ არ არის.

გინა. მაშ თავისს ოთახში იქნება.

ჰიალ. (სცენის გარედ). ედვიგ, ედვიგ! არა არც აქ არის! (შემოდის) ალბად სადმე წავიდა.

გინა. შენ თითონ გაუჯავრდი, თვალით არ მეჩვენოვო.

ჰიალ. ერთი მხოლოდ ჩქარა მოვიდეს სასლში და მე ვიტყვი იმას... ეხლა, გრეგერს, ყველაფერი კარგად მოეწყობა, და ჩვენ ახალ ცხოვრებას დავიწყებთ. (მოხუცი ეკდალი გამოჩნდება თავისი ოთახის კარებში. ლეიტენანტის ფორმით არის და ცდილობს ხმალიც მიიბას).

ჰიალ. (გაკვირვებით). შენ მანდ იყავი?

გინა. ოთახში გაისროლე?

ეკდ (მიუახლოვდება. მკაცრად). ა! მაშ უჩემოდ, მარტოკა დადიხარ სანადიროდ, ჰიალმარ?

ჰიალ. (აღელვებული, დარცხვენით). მაშ შენ არ გაისროლე ფარდულში?

ეკდ. მე გავისროლე?

გრეგ. (ხმა-მაღლა, ჰიალმარს). იმან თითონ მოჰკლა გარეული იხვი!

ჰიალ. რა! (მირბის ფარდულისკენ, გახსნის კარებსა და უძახის). ედვიგ!

გინა. (მირბის იმასთან). ღმერთო ჩემო ეს რა ამბავია?

ჰიალ. (შედის). ის იატაკზედა წევს.

გრეგ. წევს? (მირბის ჰიალმართან).

გინა. (იმავე დროს). ედვიგ! (შედის ფარდულში). არა, არა, არა!

ეკდ. ხა-ხა-ხა! ისიც ნადირობას ეჩვევა! (ჰიალმარს, გინასა და გრეგერსს ედვიგი შემოაქვთ. ედვიგს მარჯვენა ხელში დამბაჩა მაგრა აქვს ჩაბღუჯული).

ჰიალ. (დაბნეულად). დამბაჩა გავარდნილა... ამას მოხვედრია... დაუძახეთ... მიშველეთ...

გინა. (ტალანში გარბის და ყვირის). რელლინგ, რელლინგ! ექიმო რელლინგ! ჩქარა! რაც შეიძლება ჩქარა!

ეკდ. (ჩუმად). ტყე შურსა ძიობს.

ჰიალ. (მუხლებზე დაეცემა ედვიგთან). ეხლავ თვალებს აახელს... ჰო...

გინა. სად მოურტყავს? მე ვერაფერსა ვხედავ... (შემოდის რელლინგი ჩქარის ნაბიჯით და იმ წამსვე უკან მოსდევს მოლვიკი უგალსტუკოდ და უჟილეტოდ).

რელ. რა ამბავია, რა მოხდა?

გინა. ესენი იძახიან, ედვიგმა დამბაჩა მოირტყაო.

ჰიალ. თუ ღმერთი მწამს, მიშველე!

რელ. დამბაჩა მოირტყა? (სკამს იქით გასწევს და ედვიგსა შინჯავს).

ჰიალ. (შიშით). ეს ხომ საშიში არ არის? რელლინგ, სისხლი სრულებით არ გამოსულა. ეს ხომ საშიში არ არის?

რელ. როგორ მოხდა?

ჰიალ. არც მე ვიცი.

გინა. გარეული იხვის მოკვლა უნდოდა.

რელ. გარეული იხვისა?

ჰიალ. ალბად დამბაჩა თითონ გავარდა.

რელ. ჰმ... ეგრე.

ეკდ. ტყე შურსა ძიობს, მაგრამ მე მაინც არ მეშინიან. (შედის ფარდულში და კარებს იკეტავს).

ჰიალ. რელლინგ, რატომ არაფერს ამბობ?

რელ. ტყვია გულში აქვს მოხვედრილი.

ჰიალ. ხომ მორჩება?

რელ. განა ვერა ჰხედავ, რომ ედვიგი უკვე მკვდარია..

გინა. (ტირის) ედვიგ, ედვიგ!

გრეგ. (ხრინწიანი ხმით) ზღვის ფსკერზედ...

ჰიალ. (წამოხტება). არა, არა! ამან უნდა იცოცხლოს! რელლინგ, თუ ღმერთი გწამს!.. ერთი წუთით მაინც! მხოლოდ უთხრა, როგორ უსამზღვროდ მიყვარდა!

რელ. ტყვია შიგ გულში მოხვედრია. სისხლი შიგნით შემდგარა. მსწრაფი სიკვდილია.

ჰიალ. და მე ის გავაგდე ჩემგან, როგორც უბრალო პირუტყვი. ამას შეეშინდა, გაიქცა იქ ფარდულში და მოკვდა ჩემი მეტის მეტი სიყვარულით. (ტირის) და ამის გასწორებაც კი შეუძლებელია. ვერასოდეს ვერ ეტყვი... (ჰკუმშავს მუშტებსა და უყვირის). ოჰ, შენ, თუ სადმე არსებობ, რად მოახდინე ეს ასე!

გინა. ჩუმად! ჩუმად! ნუ ამბობ მაგისთანა საშინელებას და ნუ ჰგმობ ღმერთსა. ალბად ჩვენ ამისი ღირსნი არ ვიყავით.

მოლ. არ მომკვდარა, სძინავს.

რელ. სისულელეს ამბობს.

ჰიალ. (მშვიდდება, მიდის დივანთან და გულხელ დაკრეფილი უცქერის ედვიგს). როგორ მშვიდადა და გაუნძრევლადა წევს.

რელ. (უნდა დამბაჩა გამოართვას) რა მაგრად ჩაუბღუჯნია...

გინა. გაუშვით, რელლინგ, თითებს დაამტვრევთ. დაე, ჰქონდეს დამბაჩა.

ჰიალ. დაე, თან წაიღოს.

გინა. ჰო, მაგასვე ჰქონდეს. მხოლოდ აქ ნუ დავანარჩუნებთ ყველას საჩვენებლად. სჯობს თავისს ოთახში გადავიტანოთ. იქ უფრო კარგი იქნება. გადავიტანოთ იქა ეკდალ. (ჰიალმარსა და გინის ედვიგი მიაქვთ).

ჰიალ. გინა, გინა, როგორ უნდა აიტანო ესა?

გინა. უნდა ერთმანეთს ვუშველოთ, იმიტომ რომ ეხლა ვიცი, ეს ჩვენ ორივეს ერთნაირად გვეკუთვნის

მოლვ. (ხელებს გაშლის) დიდება უფალს, მიწას უბრუნდება!

ოელ. (ყურში). გაჩუმდი, მთვრალი ხარ. (ჰიალმარსა და გინას გააქვთ მიცვალებული სამზარეულოს კარებიდან. რელლინგი კარებს უხურავს მოლვიკი ტალანში გავა).

რელ. (გრეგერსთან მივა). ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს უბრალო შემთხვევაა.

გოეგ. (სდგას უძრავად, შეშინებული, ირთის და ტირის). არავის არ შეუძლიან სთქვას, როგორ მოხდა ეს უბედურება.

რელ. კაბა ატრუსული აქვს, ეტყობა დამბაჩა გულზე მიუდვია.

გრეგ. ედვიგი მოკვდა. შეხედეთ, რომ მწუხარებამ გაალვიძა მასში მისი ხასიათის საუკეთესო მხარეები?

რელ. ხალხის მოძქტებული ნაწილი უმჯობესდება, მხოლოდ სანამ მწუხარებაში არიან, მიცვალებულის ახლო. მაგრამ რამდენს ხანს გასტანს ახლა ეგ თქვენი აზრით?

გრეგ. ეგ გაიზრდება და გაფართოვდება მთელს მისს სიცოცხლეში.

რლე. ეჰ, გავა ექვსიოდე თვე და საბრალო ედვიგს სრულიად დაივიწყებენ. იგი ეყოლება ჰიალმარს მხოლოდ როგორც კარგი თემა სადეკლამაციოდ.

გრეგ. და თქვენ მაგას ამბობთ ჰიალმარ ეკდალზე?

რლე. ჩვენ ამაზე მოვილაპარაკოთ, როცა ედვიგის საფლავზე პირველად დასჭკნება ბალახი. მაშინ თქვენ გაიგონებთ, როგორ მოსთქვამს ის „მამის გულიდგან უდროვოდ მოწყვეტილი ბავშვზე“. თქვენ მაშინ ნახავთ როგორ თითონვე აღტაცებაში იქმნება და თავისს თავს შეიცოდებს. აი ნახავთ.

გრეგ. მაშ თუ ეგრეა, ქვეყნად სიცოცხლე სრულიად არა ღირებულა!

რელ. არა! შეიძლება სიცოცხლე ურიგო არ იყოს, თუ რომ ჩვენ, უბრალო მომაკვდავთ, არ გვიჩნდებოდნენ სხვები თავიანთი იდეალური საკითხებით.

გრეგ. მაშ მე მოხარული ვარ ჩემი ბედისა.

რელ. ნება მიბოძეთ გკითხოთ, რა არის თქვენი ბედი?

გრეგ. ჩემი ბედი—სუფრაზე მეცამეტის ადგილია!

რელ. ჰო, სწორედ გერწმუნები! უსარგებლო ადამიანო?

გ. ნამორაძე.

ფარდა.

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 686.

ჩეხთა პოეტის გარდაცვალება.

პრაგა. გარდაიცვალა ჩეხთა პოეტი ემილ ფრიდა, იგივე იაროსლავ ვრხლიცკი.

სანოვაგის სიძვირის გამო.

ბერლინი. ბრანდენბურგის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობამ გადასწყვიტა მთავრობას სთხოვოს—სანოვაგის ბაჟი შეამციროს. ბერლინი მომხრეა ყინულში ჩადებულ ხორცის შემოტანისა. მთავრობასაც ამის გამო თათბირი აქვს.

მატარებლის გადავარდნა.

ბუფალო. ერის ახლო, პენსილვანიაში, ლიანდაგს გადასცდენია მატარებელი. 6 კაცი დაღუპულა, 50 კაცი დაშავებულა.

გრ. ბერტჰოლდი.

ვენა „ფრედენ-ბლატი“ იუწყება, ოქტომბერში გრაფი ბერტჰოლდი იტალიას გაემგზავრება, იტალიის მეფეს ინახულებს და სან-ჯულიანისაც მოელაპარაკებაო.

რუსეთი

რედაქტორის დაჯარიმება.

პეტერბურგი. „სტოლიჩნიე ოტკლიკის“ რედაქტორს 350 მანეთის ჯარიმა დაადვეს პირველ ნომერში დაბეჭდილ წერილისათვის: „რედაქციისაგან“

ცეცხ`ლი.

რიაზანი. სოფელ ვიშგოროდში (რიაზანის მაზრისაა), ორთქლმავალის ნაპერწკლისაგან ცეცხლი წაჰკიდებია ერთს სახლსა. ცეცხლი გაძლიერებულა. ხანძარს 150 სახლი და 100 ბეღელი უმსხვერპლნია.

ვიატკა. ქალაქის გარშემო ტყე იწვის. ცეცხლი შეიძლება სოფლებსაც მოედოს. რკინის გზის ლიანდაგზე შპალებს ცეცხლი ეკიდება.

ტოლსტოის წიგნაკები.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ შეუტკოვს ლ. ტოლსტოის წიგნის გამოცემისათვის, 128 და 129 მუხლთა ძალით ერთი წლის ციხე გადაუწყვიტა.

ყაჩაღების თავდასხმა.

ნოვოჩერკასკი. მიხაილოვსკის სლობოდაში შეიარაღებული ბოროტგამზრახველნი ხაზინას დაეცნენ, ხაზინადარი დასჭრეს, 22 ათასი მან. გაიტაცეს და მიიმალნენ.

უცხოეთი

ბალკანეთზე.

ბულგარეთი არა სცხრება. სატახტო ქალაქში დაწყებული მოძრაობა ომის დაწყების სასარგებლოდ პროვინციებსაც ეფინება, ასე რომ დღეს მთელს ბულგარეთში მხოლოდ ომსა და მის მოსალოდნელ შედეგზეა ლაპარაკი. დიდსა და პატარას ერთი და იგივე გეგმა აქვს, ერთი და იგივე იმედი აფრთოვანებს, რომლის მიზანიც იმაში მდგომარეობს, რომ მაკედონიაში მცხოვრებ ბულგარებს ცხოვრების ისეთივე პირობები მიენიჭოს, როგორითაც სარგებლობენ ბულგარეთის სამეფოში მცხოვრებნი; ომის დაწყების მომხრეებს ჰსურთ მოსპონ ის ზღუდე, რომელიც ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის აყუდებულა და რომელიც ხელს უშლის ბულგარეთის კულტურის გავრცელებას მაკედონიის ბულგართა შორის. ეს მინიმალური მოთხოვნილებანი, რომელიც თანაბრად აერთებს ყველა კლასს, მთავრობის თვალში ცოტა სხვანაირ ელფერს ღებულობს. მას იმ აზრით ესმის ეს მოთხოვნილებანი, რომ განხორციელდეს ბერლინის ხელშეკრულობის ის მუხლი, რომელიც მაკედონიის მდგომარეობის მოწესრიგებას ეხება. ბულგარეთის დემოკრატიული ნაწილები კი მოითხოვენ, რომ განხორციელდეს, არა ბერლინის ტრაქტატის 23 მუხლი, რომელიც თვით მისმა შემქნელებმა დაარღვიეს, არამედ აგრეწოდებული „რეველის პროგრამა“, რომლის ძალითაც მაკედონიაში უნდა დანიშნულიყო ქრისტიანი გენერალ-გუბერნატორი და უნდა შემოეღოთ ფართო რეფორმები ევროპის მეთვალ-ყურეობის ქვეშ.

ასეა, თუ ისე, მაკედონიისათვის ავტონომიის მინიჭებას მოითხოვს დღეს მთელი ბულგარეთი, რომლისთვისაც ომსაც კი არ ერიდება. რასაკვირველია, ამ გვარი მოთხოვნილების თეორიულად დასაბუთება არც ისე ძნელია, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, მაშინ სულ სხვა საკითხები იჩენენ თავს. შესაძლებელია თუ არა, რომ ოსმალეთ-ბულგარეთის ჭიდაობა უკანასკნელის გამარჯვებით გათავდეს? სკეპტიკების აზრით, ასეთი მოვლენა საეჭვოა, რადგან ოსმალეთის ჯარის რიცხვი მეტად აშკარად ამტკიცებს წინააღმდეგს. თურქთა 600.000 ხიშტი ადვილად მოიგერიებს ბულგარეთის 350.00-იან ლაშქარს, მით უმეტეს, თუ რუმინია დუნაის საზღვრებზე მტრობას არ მოიშლის. ხოლო ბულგარეთის სამხედრო წრეები სულ სხვა თვალით უცქერიან ამ საკითხს. იგინი ამტკიცებენ, რომ ოსმალეთის ჯარის მობილიზაცია უფრო ნელა ხდება, ვიდრე ბულგარეთისა. ამას გარდა, მობილიზაციის მხრით ბულგარეთი ამ ჟამად განსაკუთრებულ კარგს პირობებში იმყოფება. აგვისტოს ბოლო რიცხვებში დანიშნულია მეცხოვნე ჯარის ალლუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 600.000 ჯარის-კაცი. თუ ალლუმის შემდეგ ცოტა ხნით დაიჭერენ სათადარიგო ლაშქარს, სამი დღის განმავლობაში შესაძლებელია სამხრეთის სამი დივიზიის მოწვევაც, რომელიც 90.000 ხიშტს შეადგენს; ამ გვარად შესდგება თვალსაჩინო ლაშქარი, რომელიც შესძლებს ცარეგრადის შეტევას. ოსმალეთს მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში შეუძლიანთ 500.000 ჯარის-კაცის შეგროვება, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბულგარეთის ჯარს, რომელიც ისეთ ადგილებზე გაივლის, სადაც მხოლოდ ბულგარები მოსახლეობენ, ადვილად შეუძლიან ადრიანოპოლისა და სხვა ქალაქების მოწყვეტა, შესაძლებელია აგრეთვე თვით კონსტანტინეპოლსაც მისწვდეს. ბულგარეთის რევოლიუციონური რაზმები (ჩეტები) მზვერაობას გასწევენ; იგინივე, მკვიდრებთან ერთად, ზურგიდან მოექცევიან ოსმალთა ჯარს და მოსვენებას არ მისცემენ. დასასრულ, ოსმალეთი იძულებული იქნება გააძლიეროს სერბიისა, ჩერნოგორიისა და საბერძნეთის საზღვრებზე დამცველი ჯარი. ყველაფერი ეს ისე დააუძლურებს ოსმალეთის მოქმედ ჯარს, რომ იგი აგრე რიგად რიცხმრავალი ვეღარ იქნება. თუ დაუმატებთ ამას ოსმალთა ჯარის ორგანიზაციულ ნაკლს და ბულგარეთისთვის ადგილმდებარეობის ხელსაყრელობას, მაშინ ბულგარეთის გამარჯვების შესახებ ეჭვიც კი უადგილო იქნება.

ასე ჰფიქრობენ ბულგარეთის სამხედრო ავტორიტეტები; მაგრამ რა მდგომარეობა იქნება მაშინ, თუ პირველ შეტაკებაშივე დამარცხდა ბულგარეთის ლაშქარი? ეს გარემოება ისეთ საშინელ შედეგს იქონიებს ბულგარეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის, რომლის გათვალისწინებაც კი დღეს დღეობით ყოვლად შეუძლებელია—იგი ერთი დაკვრით ძირიან-ფესვიანად გაანადგურებს მას, რაც საშინელი მსხვერპლით ოც და ათი წლის განმავლობაში ერის ენერგიას მიუხწევია. ამიტომაცაა, რომ ბულგარეთის მთავრობა მეტად ფრთხილად მოქმედობს და ვერ ჰბედავს ომის დაწყებას.

თეატრი და ხელოვნება

ბათომი. ბ. შალვა დადიანის დასი, რომელსაც იგი აქ სამუდამოდ აარსებს, უკვე თავს იყრის ბათომში. დასს საუკეთესო ძალები ჰყავს. სეზონის გახსნას რვა ენკენისთვეს აპირობენ. პირველად განზრახულია დასდგან გედევანიშვილის დრამა „გამცემი“.

ხონი. ამ სეზონში უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართა 19 აგვისტოს, წარმოადგინეს ნ. გვარაძის საბენეფისოდ „ტარიელ მკლავაძე“. მობენეფისის დაუღალავი შრომით მადლიერმა საზოგადოებამ ნ. გვარაძეს შესაფერისი პატივი სცა. თეატრი ხალხით გავსებული იყო. აიხადა ფარდა და გამოჩნდა ნ. გვარაძე თუ არა გაისმა ხალხში ხანგრძლივი ტაშის ცემა. პიესამ ცოცხლად ჩაიარა. მანია რატიანის ქალი შეუდარებელი რამ იყო ავათმყოფ სოფლის მასწავლებლის როლში. გოგია მედუქნის როლი შ. ხონელმაც კარგად ჩაატარა. მობენეფისემ ხალხისაგან ძღვნად ბევრი თაიგულები მიიღო. მიიღო ამასთანავე მან საჩუქარი ფულად 25 მანეთამდე.

ახალგაზრდა მსახიობნი კ. მჭარაშვილი და ი. მამფორია 26 აგვისტოს დგამენ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება „არსენა“ და „ლალატი შარჟი ადგილობრივ ცხოვრებიდან.

მადალი **თ. მებუკე.**

ს. ნაგვაზოვო (სენაკის მაზრა). 19 მარიამობისთვეს, კვირას ადგილობრივ სამრევლო სკოლის დარბაზში ლეხაინდრამს სცენის მოყვარეებთაგან, ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასის მსახიობის დ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით წარმოდგენილ იქმნა ხუთ მოქმედებიანი დრამა ირეთელისა „დამარცხებულნი“ წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და დიდათაც კმაყოფილი დარჩა, წარმოდგენამ სასურველად ჩაიარა. ფრიად საყურადღებო იყო ქ-ნი დანელია და კ. ბელოვა, პირველი ნატალასი, ხოლო მეორე ქეთოს როლში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქ-ნმა ოსიძემ, ელისაბედის როლში. მისი გრძნობიერი და მკაფიოდ წარმოთქმული სიტყვები და მიხვრა-მოხვრა ნამდვილ ელისაბედს დაგიხატავდათ თვალ-წინ, რის გამოც საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა. საჭიროდ მიგვაჩნია ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ მღვდელს მამა ვლადიმერ გაბისონიას, ევგენი ჩიქოვანს და ადგილობრივ სკოლის მზრუნველს ფირცხალავას, რომლებმაც დახმარება აღმოუჩინა ამ კეთილ საქმეს.

სოფლელი.

სოფ. ამბროლაური (რაჭა). შაბათს, 21 ივლისს, ქალ. ნ. კუხალაშვილის თაოსნობით სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს: „ბატონი და ყმა“ დრ. 3 მოქმ. გად. შ. დადიანის მიერ., „უბედური დღე“ ვოდ. 1 მოქ. ვ. ბალანჩივაძისა, და საკონცერტო განყოფილება.

წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. იყო დეფექტებიც, მაგრამ ეს მუდამ ეპატიებათ სცენის მოყვარეთ, მით უმეტეს სოფლად. სამაგალითო გაბრო იყო ტრ. ფანჯავიძე „ბატონსა და ყმაში“. მშვენივრად დაგვისურათა, ნამეტნავად უკანასკნელ მოქმედებაში, გაბროს სულიერი ტანჯვა, მისი „მწვავე ყოფა“. ვფიქრობთ, ბევრ ნაფიც მსახიობთაც გაუჭირდებათ გაბროს სულიერი განცდის ასე მხატვრულად დასურათება. შესაფერისი გმირი, მიმიკა, თავისუფალი მიხვრა-მოხვრა ამშვენებდა მის მოხდენილ თამაშს...

მოისუსტებდა პ. ვაჩაძე დათიკოს როლში; უმთავრესად მისი ნაკლი ისაა, რომ გამოთქმა არ უვარგა. უკეთესად ჩაატარა მე-3 მოქმ.

გვარიანი პეპია იყო გრ. თ. ენუქიძე; ეტყობოდა რაც შეიძლება ცდილიყო, რომ როლს შესთვისებოდა. შეგნებულად თამაშობდა ი. ფანჯავიძე (თამრო) თუმცა აკლდა სიკეკლუცე და მიმზიდველობა პირველ—მეორე მოქმ. და მწუხარება, ნაღველი,—მესამე მოქ. გაიძვერა, ბოროტ გიტოს როლის აღსრულებაში გ. ნასარიძე სუსტი გამოდგა: მის თამაშს ეტყობოდა ნაძალადევობა. ენუქიძე (თავ. ზიძინა), ყრუაშვილი (სესია) და კერესელიძე (მონადე ბიჭი) ანსამბლს ხელს უწყობდნენ... ნამდვილი ტიპები დაგვიხატეს ტ. ფანჯავიძემ (გოგია) და პ. ვაჩაძემ (ყობო) „უბედურს დღეში“. არა უშავდათ-რა ქალ. ერისთავისას (ვარდო). კ. კვირკელიას (მატრონია) და ენუქიძეს (ვარდენ). შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება (სიმღერა, ლექსები და სხ.), სხვათა შორის, მშვენივრად წაიკითხეს პატარა მარო და ელენე გოცირიძეებმა გ. ქუჩიშვილის „მათხოვარი“.

ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო, ტევა აღარ იყო...

ულრმეს მადლობის ღირსნი არიან ქალ. ნ. კუხალაშვილისა, ბ-ნ ტრ. ფანჯავიძე და ყველა ის პირნი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ მეტად სიმპატიურ საქმეში. იმედია, შემდეგაც არ დაიშურებენ თავიანთ ძალღონეს ამისთანა ყოველ მხრივ სასარგებლო და სასიამოვნო გასართობების გასამართავად. წარმოდგენის წმინდა შემოსავალი დროებით აბარია ქალ. ნ. კუხალაშვილისას, რომელმაც უნდა გადასცეს ეს თანხა ს. ამბროლაურში წიგნთ-საცავ სამკითხველოს დამაარსებელ კომისიას.

კვისკვიტა.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოს იმერეთისას გიორგის; რომელმაც შემოსწირა ალაგირის ქართულ სკოლას საეკლესიო წიგნები, 2. სამოციქულო ქართული და ხუცური, სახარება, მარხვანი და სრული წირვის და ცისკრის წესი, სულ ხუთი წიგნი ღირებული 25 მან. და ფულად 11 მან. შეგროვილი ბლაღოჩინ ფანჯავიძეს მიერ, ალაგირის ქართული სკოლის სასარგებლოდ. ბ-ნთ თომა წყალ. არჩვაძემ, 5 მ. ილიკო მაისურაძემ, 3 მ. ამათვე შეაგროვეს სოფ. სარიყამიშში, ხარიტონოვმა 3 მ., მაჩაბელმა, ოქრო გაგნიძემ, ალ. სამადალოვმა, თითო მან.

ელიჩკა, თამარ, გოგოლი და იროკლი ზალდასტანაშვილებმა, მენთეშაშვილმა, ვას. დაუშვილმა, ნიკ. დაუშვილმა, გიგო სხირტლაძემ, ალ. მესხმა, ვალ. მესხმა, ალ. მესხმა, გ. მესხმა, პავ. გაგნიძემ, კოს. მესხმა, თედო ნეფარიძემ, ავეტის ტერ-პოლოსიანცმა, მაცაკოვ-ბაზაროვმა, ალექ. რამიშვილმა, დავ. გოგოლაშვილმა, ვლ. რუხაძემ 50 კ., მიხ. ქართველიშვილმა 40 კაპ., მათ. მესხიშვილმა, დათ. ბეგაშვილმა, ალ. კარაბატოვმა 20 კ., ტიგრ. ბაკლაროვმა, არ. ლორეციანმა, 30 კ., სარიყამიშის ქართველთ ჯგუფიდან 15 მ.

სულ თომას და ილიკოს შეგროვილი 40 მან. 60 კ.

რწმუნებული **პეტრე დავ. მეტრეველი.**

გთხოვთ ამასთანავე წარმოდგენილი ორი მანეთი გადასცეთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სოფ. კავთისხევის ბიბლიოთეკა —სამკითხველოს. **არ. კოტეტიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ, **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს, 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ, 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ, მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ, **საფ.** № 3, დილ. 8 ს, 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს, 51 წ, **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ,** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: საგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 38 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე,** სამშაბათ ღამე 2 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს, დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობპთ საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სშმშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედესერიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5,

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

განცხადებანი

სავაჭრო სკოლა უფლებ. თ და საბუხგალ ტრო კურსები

ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეპანოვის.

მისაღები და დამატებითი გამოცდა დაიწყება 27 აგვისტოდან. მეცადინეობა დაიწყება სავაჭრო სკოლაში 3 სექტემბრიდან, საბუხჰალტერო კურსებზე სექტემბრის 15-დან; მიხეილის ქუჩა, სახ. № 53.

(5.1472.2)

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებს და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1037.55)

ექიმ ნავასარდიანის
[illegible]
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ძ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1078.202)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ბლაჟანოვი—საშარდე ორგანოთა, ოთაშნებისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ, 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნერვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(0—1253—100)

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის
საბუჰალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან, ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—15)

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანჯღარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში



მუხრანის ქ., № 2.
ყოველ ნაირი ფეხსაც. საუკეთ. მასალ., ზომიერ ფასებში.

(25.549.18)

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი:

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“	ფასი	„	„	„		75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა	„	„	„	„	„	80 კ.
III „	„ნააზრევი“ „	„	„	„	„	„	65 კ.
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ.					„	85 კ.

მივიღეთ მარიამობისთვის
შვედური და დელიკატესნი კილკები.

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.

ბოჭკის საუკეთესო
ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.
აგრეთვე მოგვდის ცოცხალი ლოქო
და კობრი, |საზანი.|

(წ.1131.242)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“